ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი 30 იანვარი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით მახარობლიშვილი, დავით აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: ნ. დვალიშვილი, ლ. ძაგნიძე, მ. შენგელია, ალ. ჯობავა, გ. სულაბერიძე, თ. ანდღულაძე, ირ. ბარნაბიშვილი, ი. სონღულაშვილი, ბ. ასათიანი, გ. ინასარიძე, გ. ჭალაღანიძე, დ. ბენაშვილი, ნ. ალფაიძე, ბ. ბეჟაშვილი, კ. ამირეჯიბი, პ. სვანიძე, კ. ხაინდრავა, გ. გუგუნავა, კ. არაბიძე, დ. ლოსაბერიძე, ი. გელაშვილი, ალ. ანდღულაძე, ლ. დევდარიანი, ირ. ჩახტაური, ვ. თავაძე, კ. დეკანოიძე, ირ. მურღულია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

20. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ზემო ვაკის ქუჩა, I ჩიხი, I შესასვლელი №11ბ, ნ. ჟვანიას №12ა–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.15.02.056.098) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მი'ხნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

21. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, გორის ქ. №1-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.016.022) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

22. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.624) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – ირ. მურღულია).

23. დუშეთის რაიონში, დაბა გუდაური (ძველი გუდაურის ტერიტორია) სექტორ №5-ში, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის შესახებ.

24. დუშეთის რაიონში, ახალი გუდაურის ტერიტორიაზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის შესახებ.

25. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.001.025) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ.

26. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქ. №3-ში, ახუნდოვის ქ. №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.001.029) სასტუმროს განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

27. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანის საკრებულო, "ავშნიანში" არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.006.234) სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებული დაწესებულებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

28. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გ. ჭყონდიდელის ქ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

29. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, შპს "ვიტო"-სა და შპს "სანაპირო"-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.04.017.021) მრავალფუნქციური

26. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქ. №3-ში, ახუნდოვის ქ. №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.001.029) სასტუმროს განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. სვანიძე. AR 1105722
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,7.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,9.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქ. №3-ში, ახუნდოვის ქ. №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.001.029) სასტუმროს განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,9.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 1.

27. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანის საკრებულო, "ავშნიანში" არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.006.234) სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებული დაწესებულებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ე. გიგაური. AR 1105884
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,3.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,4.
აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, დ. ცურამიშვილის გამზირის №84-ში, დ. ცურამიშვილის გამზირის №41-ის მოპირდაპირე მხარეს, ელმავალმშენებელის ქარხნის ღობესთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.01.003.107) საავარიო ცენტრისა და ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 186

13 თებერვალი 2013 წ.

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქ. №3-ში, ახუნდოვის ქ. №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.001.029), სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 30 იანვრის სხდომის №4 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქ. №3-ში, ახუნდოვის ქ. №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.001.029), სასტუმროს განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ1=0,9.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ქარუმიძე